– 2002 –


# ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

*იოანეს სახარება*

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1–180

ნოემბერ-დეკემბერი №21 (15) ფასი 30 თეთრი


## ღმერთის გზის ძიებისა იყო ეს ყველაფერი



მას შემდეგ, რაც პატრიარქის, მისი უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მოგზაურობამ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში საკმაოდ თბილად და შინაარსიანად ჩაიარა, ჩვენი გაზეთი ტექნიკური მიზეზების გამო ვეღარ გამოვიდა, მრავალი საინტერესო ფაქტი და ფოტომასალა შემორჩა ჩვენს არქივს დაუბეჭდავი და გამოუქვეყნებელი. მას შემდეგ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: პატრიარქმა სინოდის წევრებთან ერთად გადაწყვეტლება მიიღო ეპარქიის ორად გაყოფის შესახებ. ხოლო იმ დღეების სულისჩამდგმელი, ჩვენი ეპარქიის სულიერი მამა მაღალყოვლადუსამღვდელოესი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) ახალქალაქისა და კუმურდოს მღვდელმთავრად გადაიყვანეს. მეუფე ნიკოლოზზე, როგორც პიროვნებაზე, როგორც სასულიერო მოღვაწეზე, დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო, ერთს კი ნამდვილად ვიტყვით––მეუფე ნიკოლოზი უმძიმეს და საპატიო მოვალეობას სასოებით, იშვიათი შემართებით, მთელი ძალითა და გონებით ემსახურებოდა (თუნდაც ერთი ფაქტი––პატრიარქის სტუმრობის დამეს ლეჩხუმისთვის უჩვეულო ფეიერვერკით დაგვამახსოვრა თავი).

ამავე სინოდზე ჭულევის მონასტრის (ახალციხის ეპარქია) წინამძღვარი არქიმანდრიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი) ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსად აკურთხეს.

დაგვერწმუნეთ, ჩვენთვის მართლაც ძნელი იყო ინტერვიუსთვის აუდიენცია გაგვეკეთებინა ეპისკოპოსთან, პიროვნებასთან, რომელსაც შთამბეჭდავი და საინტერესო ბიოგრაფიული შტრიხები აქვს, ისეთი სუფთა სული და გულახდილი საუბარი, რომ მასთან მისულებს არც კი გაგვიგია როგორ გავიდა „სულ რაღაც“ ოთხი ასტრონომიული საათი. თანაც, ისიც გავიგეთ, რომ მეუფე სტეფანეს ჩვენზე მეტი ჟურნალისტური გამოცდილება ჰქონია (ამაში მაშინაც დავრწმუნდით, როცა მისივე რედაქტორობით დაბეჭდილი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული და შინაარსობრივად დატვირთული ჟურნალი „ჭულევი“ ვიხილეთ).

◆

**––თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ! ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის უინტერესო ნამდვილად არ იქნება რამდენიმე ძირითადი შტრიხი თქვენი ბიოგრაფიიდან...**

––დავიბადე 1959 წელს ქალაქ ახალციხეში. დავამთავრე II საშუალო სკოლა 1976 წელს. იმავე წელს ჩავაბარე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1981 წელს დავასრულე. განაწილებით დავიწყე მუშაობა დაბა ადიგენის სამხედრო ქარხანაში (თბილისის რადიოქარხნის ფილიალი) ინჟინერ-გამწყობად. მამის გარდაცვალების გამო 1984 წელს მომიწია ახალციხეში დაბრუნებამ, სადაც ვმუშაობდი ელექტროქსელებში. 1988 წელს, როცა რუსთაველის საზოგადოება ჩამოყალიბდა, მე ამ ორგანიზაციის მესხეთის განყოფილების თამჯდომარედ ამირჩიეს. როცა საქმეს შევუდექი, მივხვდი, რომ სამეურნეო მუშაობის დრო აღარ მქონდა და ქსელებიდან წამოვედი, თავმჯდომარესთან ერთად ვმასწავლებლობდი მშობლიურ II საშუალო სკოლაში, შემდეგ ექსკურსია, მძღოლის ფუნქციებსაც ვასრულებდი საექსკურსიო ბიუროში, მესხეთის სახელმწიფო თეატრში ინჟინრის თანამდებობაც მეკავა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა იწყება. ეროვნული კონგრესის წევრად ამირჩიეს, დავაფუძნე საქართველოს მოქალაქეთა სტუდენტური კავშირი. ძალიან აქტიურად გამოვდიოდი ხელისუფლების წინააღმდეგ. მახსოვს, რიგაში მომიწია წასვლამ. საბჭოთა კავშირის პასპორტზე უარი ვთქვი და დამოუკიდებელი საქართველოს პასპორტით ვსარგებლობდი. ამ პასპორტით რიგაში კი ჩავედი, მაგრამ წინააღმდეგობა შემხვდა უკანდაბრუნებისას. პროტესტის ნიშნად მოვაწყვეთ აქცია, ავაწრიალეთ ლატვიის შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, ხელისუფლების წარმომადგენლები. შემდეგ ამ პასპორტით მოსკოვსაც „ვესტუმრე“. სასტუმროშიც გავფორმდი, „ეუთოს“ თათბირშიც მივიღე მონაწილეობა, რომლის ძირითად თემას „ადამიანთა უფლებების დაცვა“ წარმოადგენდა. იქ გავიარე რეგისტრაცია დაპყრობილი საქართველოს მოქალაქის სტატუსით, მაგრამ მთავარ თათბირზე არ დამიშვეს. ვხედავდი ამ ყველაფერს და ვხვდებოდი, რომ სიმართლე არსად არის, რომ ამ ქვეყნად ვერ ჩამოაყალიბებ ვერც ერთ საზოგადოებას, რომელიც მართალი, ჭეშმარიტი იქნება და მივხვდი––ღვთის გზის ძიებისა იყო ეს ყველაფერი.

პირველი შეხება ეკლესიასთან 1988 წელს მქონდა. ბერები ჩამოვიდნენ საფარის მონასტერში. დასახმარებლად ავედი მათთან. მანამდე ეკლესიაში დავდიოდი, პირჯვარს ვიწერდი, ვლოცულობდი, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებდი კომუნისტებს რომ არ მოსწონდათ იმიტომ, რითაც ჩემეული პროტესტს გამოვხატავდი.

მახსენდება ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ერთ-ერთ სადაო ეკლესიასთან დაკავშირებით. ახალციხეში კონფლიქტი მზადდებოდა სომხებსა და ქართველებს შორის, გენოციდის დღეს მოინდომეს სომხებმა მარდის ეკლესიაში შესვლა, რომელიც თავდაპირველად ქართული იყო, ხოლო სომეხთა მესხეთში ჩამოსახლების შემდეგ კი აქ სომხური ეკლესია მოაწყვეს. სომეხთა და ქართველთა არაფორმალური ორგანიზაციების შეხვედრაზე სომეხთა მიერ დაისვა ამ ეკლესიის საკითხი. მე იქ სიტყვით გამოვედი და ვთქვი, რომ კათოლიკოს-პატრიარქის გარეშე ეს საქმე არ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო, რომ სომხების მამამთავარს ვაზგენსაც შეიძლებოდა დაკავშირებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვეგრძელებინა მოლაპარაკება ამ საკითხზე, ამით ვცდილობდი დროის მოგებას და კონფლიქტის შერბილებას. სომხები მაინც შევიდნენ იმ დღეს ეკლესიაში, ქეიფი და ზეიმი გამართეს, მაგრამ მთავარი სცენარი მაინც არ შედგა––ქართველი მოსახლეობა არ აჰყვა ამ პროვოკაციას და ასე გადავრჩით სისხლისღვრას.

ახალციხეში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილიალი გაიხსნა. პირველივე ნაკადში ჩავირიცხე ისტორიულ ფაკულტეტზე. საინტერესო წლები იყო––ვატარებდი, სამეცნიერო კონფერენციებს, სალამოებსა და შეხვედრებს. • •

გვ. 4

## ინფორმაცია

5 დეკემბერს ჩატარდა ცაგერის რაიონის გამგეობის სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამგებელი ზურაბ ხეცურიანი. სხდომამ განიხილა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის

1. რაიონის გამგეობის შემადგენლობის დამტკიცებისშესახებ. (ნ. ტვილდიანი).
2. ცაგერის რაიონის 2002 წლის ბიუჯეტის არასაგადასახადო გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. (მ. ლეთოდიანი)
3. ცაგერის რაიონის 2002 წლის ნოემბრის თვის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულების შესახებ. (მ. ლეთოდიანი)
4. რაიონში ბუნებრივი რესურსების წარმოების, გატანის და რეალიზაციის საქმეში წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების შესახებ. (რ. მურცხვალაძე).
5. საქართველოს სამხედრო ძალებში 2002 წელს მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ. (ი. ლარცულიანი)
6. ცაგერის რაიონული გაზეთის––„ახალი ლეჩხუმის“ საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ. (ბ. კოპალიანი)

რომლებიც გამგეობის სხდომამ ერთხმად მიიღო.

⅄

ბოლო წლებში საახალწლო ნაძვის ხეების გამოყენების მიზნით წიწვოვანი სახეობების ნარგაობათა უკანონო მოპოვებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა რეგიონის ტყეებს, რაც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას.

შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 21 ივნისის №828 განკარგულებით მხარის ტერიტორიიდან უკანონროდ მოპოვებული საახალწლო ნაძვის ხეების გატანაზე მიიღება კანონით გათვალისწინებული მკაცრი ღონისძიებები.

მოსახლეობას ვთხოვთ გაგებით მოეკიდოს საკითხს და თავი შეიკავოს ნაძვის ხეების მოჭრაზე.

ცაგერის რაიონის გამგეობა.


ზურაბ ხეცურიანი ––
„არა მგონია ავტორიტეტს მხოლოდ თანამდებობა ანიჭებდეს ➡ გვ. 2

რეპორტაჟი ცაგერის საშუალო სკოლიდან ➡ გვ. 3

რა ხდება ლაჯანურჰესში? ➡ გვ. 3


## უწყება!

გაცნობებთ, რომ ს/ს „აგრომრეწვბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დადგენილების თანახმად, აღნიშნულ ბანკს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ს/ს „საქართველოს სახალხო ბანკი“. ავტომატურად ცვლილება განიცადა ბანკის ფილიალთა მთლიანმა ქსელმა.

ს/ს „საქართველოს სახალხო ბანკი“ და შესაბამისად მისი ფილიალი პასუხისმგებელია ს/ს „აგრომრეწვბანკის“ ვალდებულებებზე. „სახალხო ბანკის“ ცაგერის ფილიალი ინარჩუნებს ძველ რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონის ნომერი).

ს/ს „სახალხო ბანკის“ ცაგერის ფილიალი იმედს გამოთქვამს, რომ შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს რაიონის, ქვეყნისა და საბანკო სექტორის გაძლიერებისა და სრულყოფის საქმეში.

*ადმინისტრაცია*

ცაგერის რაიონის გამგეობა ულოცავს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალის დირექტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს

**ვალერიან თედორეს ძე ბენიძეს**

სამოცდათხუთმეტი წლის იუბილეს და უსურვებს დიდ წარმატებებს და ბედნიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუ

*დაიბადა 1956 წლის 7 ივნისს ცაგერის რაიონის სოფელ ალვში, დაამთავრა ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა, რის შემდეგაც ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. 1976 წლიდან, ოჯახური მდგომარეობის გამო, გადავიდა დაუსწრებელ სწავლებაზე, რომელსაც შრომითი საქმიანობა შეუფარდა ამ მხრივ განვლილი საფეხურები შემდეგნაირად გამოიყურება: ქუთაისის აბრეშუმის საწარმოში მზიდავ-ტრანსპორტიორად, მემანქანედ, ცვლის უფროსად, წარმოების მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგად, შემდეგ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე ქუთაისში, ცაგერის პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ, კონტროლის პალატის თავმჯდომარედ, საქართველოს პარლამენტის ბიუროს ხელმძღვანელად, გამგებლის პირველ მოადგილედ, საკრებულოს თავმჯდომარედ, საკრებულოს სპიკერად, 2002 წლიდან ცაგერის რაიონის გამგებლად.*

## ზურაბ ხეცურიანი:
## „არა მგონია ავტორიტეტს მხოლოდ თანამდებობა ანიჭებდეს"

*თქვენთვის რეალურად მრავალი თანამდებობაა ნაცნობი, განვლილი გზის შესაბამისად თითქმის ყველა სფეროსთან გქონდათ შეხება, მაგრამ პირველი პირის ფაქტორი მაინც სხვაა. რა არის თქვენთვის ეს—ტვირთი, მოვალეობა, ავტორიტეტი, წარმატება?*

—პირველ რიგში ტვირთი, რამეთუ იმ უამრავი პრობლემის გადაჭრას, რომელიც ცაგერის რაიონშია დაგროვილი, მოსახლეობა, უპირველეს ყოვლისა, პირველი კაცისაგან მოითხოვს, რომც არ ითხოვდეს, მე ხომ კარგად ვიცნობ ამ პრობლემებს და კარგად მესმის ჩემი მოვალეობა ქვეყნის, რაიონის წინაშე, დღეს, ეკონომიკურ-სოციალურ სიდუხჭირესთან ერთად, ადამიანებს სულიერი თანადგომაც სჭირდებათ, მორალური მხარდაჭერაც.

რაც შეეხება ავტორიტეტს, არა მგონია სკამი ვვანიჭებდეს, მას ალბათ საქმიანობა, საქმისადმი დამოკიდებულება, მუშაობის სტილი განსაზღვრავს.

წარმატება კი, დანარჩენზე იმდენი ვისაუბრე, შეიძლება ეს უკანასკნელი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს—არის კი წარმატება?

***რით დაიწყებს რაიონის ახალი გამგებელი, რა იქნება მისი პირველი ნაბიჯი?***

—პირველი ნაბიჯი, ვფიქრობ, უკვე გადავდგი. ეს გახლავთ ხმამაღლა გამოთქმული სურვილი რაიონის გამთლიანებისა. ეს სურვილი უკვე საქმედ უნდა ვაქციოთ. ვერც ეკონომიკურ და ვერც სოციალურ თუ პოლიტიკურ წარმატებას რაიონი ვერ მაიღწევს, თუ მას სწორედ ადამიანური დამოკიდებულების ფაქტორი არ უდევს საფუძვლად. ჩემი საქმიანობის პირველი მიზანი ისიც იქნება, რომ ლეჩხუმელებს გავუღვივო რწმენა იმისა, რომ აქ დაგროვილი პრობლემები ჩვენი გადასაწყვეტია, ზემდგომ ხელისუფლებას კი მხოლოდ დამხმარის და ხელისშემწყობის ფუნქცია ეკისრება.

***რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ახალ გამგებელს უფლება აქვს შექმნას ახალი გუნდი, თქვენ რას აპირებთ?***

—გუნდური მუშაობის პრინციპის მომხრე ვარ. გამგებელმა შეიძლება განსაზღვროს რაღაც მიმართულებები, საქმიანობის პრიორიტეტები და ის აუცილებლად უნდა შეასრულოს გუნდმა, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ გუნდურობის პრინციპი თავისთავად არ ნიშნავს რაიმე დაპირისპირებას, სხვადასხვა გუნდის ჩამოყალიბებას. საკადრო პოლიტიკაში მთავარი და გადამწყვეტი კვალიფიციურობა, მუშაობის გამოცდილებაა და საქმისადმი დამოკიდებულებაც. ყველა უნდა გრძნობდეს, რომ კანონი კანონია. კანონს ჩვენ უნდა მოვერგოთ და დავემორჩილოთ და არა პირიქით.

***ახლო წარსულში შეხვედრა გქონდათ რესპუბლიკის პრეზიდენტთან, სახელმწიფო მინისტრთან და მთვრობის სხვა წევრებთან. თუ საიდუმლო არ არის, რა ითქვა ისეთი, რაც ჩვენი რაიონის ინტერესებს შეეხება?***

—პირველ რიგში, პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრისაგან გამოიხატა კეთილი დამოკიდებულება და სურვილები ლეჩხუმის მიმართ, თუნდაც ის, რომ ესოდენ შეჭირვებულ მდგომარეობაში ქვეყანამ მიაღწია, ადგილობრივ ბიუჯეტზე სამჯერ მეტ სატრანსფერო შევსებას ვიღებდეთ, ამ ფაქტზე ნათლად მეტყველებს.

მთელი რიგი ღონისძიებებია დასახული რესპუბლიკურ გრძელვადიან პროგრამებში: სიღარიბის დაძლევის პროგარმა, მცირე ინვესტიციების განვითარება, სოციალური ინვესტიციების საქმიანობის გააქტიურება, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ რაიონში მდგომარეობა გამოსწორდება და ყოფაცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდება. ჩვენი მიზანია, მომზადდეს სამთავრობო დოკუმენტი ცაგერის რაიონის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ, რომელზე მუშაობაც დაწყებულია, სწორედ ამ დოკუმენტეში აისახება ლეჩხუმის განვითარების პერსპექტივები და პრიორიტეტები.

***ხალხს საყვედურები ხშირად სჩვევია, განსაკუთრებით თანამდებობის პირთა მიმართ—არის გაუთავებელი პრეტენზიები. განსაკუთრებით დაპირებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ქვეყანაში საოცარი პოლიტიკური ფონია—პარლამენტიდან ყოველდღიურად აჩვენებენ „საბრძოლო" ბატალიებს. ყოველივე ამის შემყურეს, თქვენ იმედი გაქვთ, რომ ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებთ? ვის ან რას ეყრდნობით?***

—იმედი ნამდვილად მაქვს. იმედი რომ არ მქონდეს და გარკვეულად დარწმუნებულიც რომ არ ვიყო ამ გზის სისწორეში, მაშინ უარს ვიტყოდი ამ თანამდებობაზე.

იმედი ჩვენი რაიონის, ჩვენი ხალხის მაქვს, რის საფუძველსაც თუნდაც ლეჩხუმური ტრადიციები იძლევა. ნუ გაგიკვირდება, რომ დღევანდელ ყოფაში ადამიანები პრეტენზიულები არიან, ალბათ უფრო გასაკვირი მადლიერება იქნებოდა. როდესაც მე არსებული ეკონომიკურ-ფინანსური სიტუაციის გამო საშუალება არ მეძლევა რეალური დახმარება აღმოვუჩინო გაჭირვებულთა ფენას, მათგანაც შესაბამის რეაგირებას უნდა ველოდე. მთავარი ჩვენთვის ამჟამად პოლიტიკა კი არა, არამედ ლეჩხუმის გადარჩენა უნდა იყოს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია პრობლემა არ არის, ძალიან ცდება. ამას უნდა ემსახურებოდეს პოლიტიკაც, ეკონომიკაც და სოციალური წყობაც.

რაც შეეხება უნდობლობის ფაქტორს და დაპირებებს, მე უკვე რამდენიმე საკრებულოში მქონდა ხალხთან შეხვედრები. მათ ავუხსენით რისი გაკეთება შეგვიძლია და რისი არა არსებული მდგომარეობის გამო, სწორადაც გაგვიგეს.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმ ჭეშმარიტებაში, რომ კანონიერად მოჭრილი მარჯვენაც კი ნაკლებადმტკივნეულია. მე პირადად არა მჩვევია უსაფუძვლო შეპირებები, თუ რამეს ვიტყვი, ის კიდეც უნდა გაკეთდეს.

***რა მიგაჩნიათ ლეჩხუმის აღორძინების ყველაზე ოპტიმალურ გზად?***

—ცოტა მაღალფარდოვნად არის ლეჩხუმის აღორძინება ნათქვამი. ჯერ სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობას უნდა მივაღწიოთ და მერე ვიფიქროთ აღორძინებაზე ყველაფრის ამოსავალი ეკონომიკაა და ვერც ერთ პრობლემას ეკონომიკის გარეშე ვერ გადავწყვეტთ. პირველი პრობლემა, რაც ჩემი მოსვლის დღესვე დადგა, ეს იყო მოწეული ყურძნის რეალიზაციის საკითხები, როგორც იქნა ეს მოწესრიგდა და ორი ადგილობრივი ქარხანა ამოქმედდა. ჩვენი რაიონის ბიუჯეტს გარკვეული რეალური ბაზა შევუქმენით. ცაგერი აგრალური ეკონომიკის რაიონია და გლეხის ნაშრომი არ უნდა იკარგებოდეს, ამიტომ, როგორმე უნდა მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის, განსაკუთრებით ხილის გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინებას.

დიდ იმედებს ვამყარებთ ლაჯანურჰესზე, განსაკუთრებული ღონისძიებებია გასატარებელი მეწყრიანობის, მდინარეთა კალაპოტის რეგულირების, საგზაო მშენებლობის კუთხით. ყველაფერ ამას ყოველდღიურ დაძაბული მუშაობა სჭირდება როგორც ადგილზე, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში.

***რაიონის კეთილდღეობის ამოსავალი წერტილი მისი ბიუჯეტია, ორიოდე სიტყვით მიმდინარე და მომავალი წლების ბიუჯეტის შესახებ.***

—როდესაც მწირ ეკონომიკურ ფონზე ვსაუბრობთ, თავისთავად მწირ ეკონომიკურ ბიუჯეტსაც ნიშნავს, თუმცა ყოველწლიურად მისი მოცულობა 10-15% იზრდება, ეს არ არის მცირე მაჩვენებელი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რეზერვები გაგვაჩნია, თუნდაც ლაჯანურჰესს ოთხ მილიონამდე ლარი აქვს სხვადასხვა გადასახადი, დიდი რეზერვები არსებობს ხე-ტყეში, მოკლედ რომ ვთქვათ ბუნებრივ რესურსებში უნდა შევძლოთ, რომ აქ დაგეგმილი 60 ათასიანი პარამეტრი მომავალი წლისთვის გავზადოთ, მაგრამ ბუნებრივი რესურსების კანონიერი რეალიზაციის



თვალსაზრისით. ჩემი განკარგულება ამ საკითხზე უკვე გამოსულია და უახლოეს მომავალში გამგეობა უზრუნველყოფს წესრიგის დამყარებას ამ სფეროში.

კერძო მეწარმეები უნდა მიეჩვივნონ გადახდის კულტურას.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი მხარე იყოს ნამდვილად გამჭირვალე, რათა მოსახლეობა დარწმუნდეს იმაში, რომ უმიზნოდ არაფერს ვხარჯავთ.

***ჩვენი უმთავრესი პრობლემა—ელექტროენერგია. ლაჯანურჰესის გამო ლეჩხუმში დარღვეული ეკოლოგიური ბალანსის შესაბამისად ხალხს ეკუთვნის თუ არა გარკვეული შეღავათები ელექტროენერგიაზე. როდის გვექნება „ჩვენეული დენი" და ამჯერად გასტანს თუ არა მისი „დაბრუნება" დიდხანს?***

—ლაჯანურჰესი უნდა იქცეს რაიონის აყვავების, მისი ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედების ერთ-ერთ მთავარ საძირკვლად, თუმცა თვალის დახუჭვა არც იმ ეკოლოგიურ ბალანსდარღვევებზე შეიძლება, რაც ამ სადგურის ექსპლუატაციამ გამოიწვია. ცნობილია, რომ ორივე ხეობაში საგრძნობლად შეიცვალა კლიმატი, მოიმატა მეწყრიანობამ, მდინარე ლაჯანურისა და მდინარე ცხენისწყლის ხეობები, ფაქტობრივად, გაივსო ჩამონალექი მასალებით, მდინარეთა კალაპოტმა იმ დონეზე აიწია, რომ ზოგ შემთხვევაში დასახლებული პუნქტების ნიშნულს ასცდა. თუ გადამჭრელი ზომები არ იქნა მიღებული, შეიძლება სტიქიური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ ორბელში, ლაჯანში, ლაცორიაში, სპათაგორში, ცაგერში, ჭალისთავში, ბარდნალაში, ლასურიაშში. მდინარეთა ადიდების გამო, ყოველწლიურად ვკარგავთ მაღალმოსავლიანი ჭალის ფართობებს. რაც შეეხება ჰესის ამოქმედებას, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ამჟამად იქ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელმაც უნდა აღადგინოს და აამოქმედოს სამივე აგრეგატი, გამომუშავებული ელექტროენერგია 30 და 110-120 მეგავატამდე უნდა გაიზარდოს, რაც რაიონის ეკონომიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია სადგურის კოლექტივის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხი.

გაგვიჭირდება რაიონის ჩვეული ენერგიით უზრუნველყოფა, თუ შესაბამისად, მწირი შესაძლებლობის პირობებშიც კი, გარკვეულად არ გაუმჯობესდა გადახდა. რაც შეეხება შეღავათებს, წინადადებები მომზადებულია, წარდგენილია კანცელარიაში და ვფიქრობ, შესაბამისი ინვესტორის დაინტერესების შემთხვევაში, საკითხები ელექტროენერგიის გადასახადის ლიბერალიზაციის შესახებ, გარკვეული ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების და სხვა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ, გადაწყდება დადებითად.

***თქვენს კაბინეტში შემოსვლისას თვალშისაცემია ხატების საკმაოდ ვრცელი კუთხე. საბჭოთა ოფიციოზის რთული და ათეისტურგზაგამოვლილი ეკლესიური ბრძანდებით?***

—მე როგორი ეკლესიური ვარ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ სურვილი მაქვს, რომ ვიყო თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა, ჩემი წარდგენა ამ თანამდებობაზე და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ახალი ეპისკოპოსის კურთხევა რომ ერთმანეთს დაემთხვა, ალბათ მრავალისმეტყველია. რწმენა ის ქვაკუთხედია, რამაც ჩვენი ერის გადარჩენაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, დღესაც, იმედი მაქვს, რწმენა გვაპოვნინებს საყრდენს და გაგვაძლებინებს მძიმე მდგომარეობას. მიხარა, რომ რაიონში ფართოდ არის გაშლილი საეკლესიო მშენებლობები და ისიც, რომ მრევლი დღითი დღე იზრდება. მე მეუფე სტეფანესთან ერთად ვისაუბრე ზოგიერთ საკითხზე და ვფიქრობ, რომ რაიონული გამგეობა არ აღმოჩნდება მაყურებლის როლში.

***როგორია ზურაბ ხეცურიანი სამსახურს მიღმა, ოჯახსა და მეგობრებში?***

—როგორი ვარ, ეს სხვამ უნდა თქვას. მე კი გეტყვით, როგორი მიმაჩნია საკუთარი თავი. ობლობაში, დედმამიშვილების გარეშე გაზრდილი ვცდილობ, რაც ბუნებიდან დამაკლდა მეგობრებთან ავინაზღაურო. ოჯახში ისეთი ვარ, როგორც ყველა ქართველი მამაკაცი.

***რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?***

—მე ხშირად ასეთი სადღეგრძელოს თქმა მიყვარს—კაცს გაუმარჯოს-თქო. კაცში მარტო მამრობითი სქესი არ იგულისხმება, ამიტომ ყველა დადებით თვისებას ვაფასებ, რაც ტრადიციულია ჩვენთვის.

***ყველაზე ძვირადღირებული ფასეულობა, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ?***

—პატიოსნება და სიტყვის ერთგულება, ალბათ.

***თქვენი გულახდილი სურვილები.***

—მართლა, ერთადერთი სურვილი გამაჩნია ამ წუთში,—ეს არის რაიონის გამთლიანება. სურვილები და გეგმები ბევრი მაქვს, მაგრამ ეს უპირველესად მოსაგვარებლად მიმაჩნია. ამიტომ, ყველას მოვუწოდებ, რომ მოვეფეროთ ერთმანეთს, ვაპატიოთ მცირედი შეცდომები და ისე ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი ისევ ჩვენი ოჯახების, ლეჩხუმის, საქართველოს საკეთილდღეოდ.

—გმადლობთ.

**თამარ დავითულიანი**

(დასასრული)

# ღმერთის გზის ძიებისა იყო ეს ყველაფერი

1987 წელს, მაშინ, როცა მოდაში იყო უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩევა, მესხეთი შემდეგში უკვე „ცნობილ“ გენერალს, იგორ როდიონოვს ირჩევდა. გადაწყვიტეთ ამ პიროვნებისთვის ილია II-ის კანდიდატურა დაგვეპირისპირებინა. რამდენიმე ახალგაზრდა მანგლისის რეზიდენციაში შევხვდით მის უწმინდესობას, მან უარი განაცხადა. რა საჭირო იყო ეს? დეპუტატის მანდატის გარეშეც ხომ ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. სხვათა შორის იმ ყრილობაში საბჭოთა რესპუბლიკის ყველა რელიგიური ლიდერი მონაწილეობდა, გარდა ჩვენი პატრიარქისა.

...საფარის მონასტერს უფრო და უფრო ხშირად ვსტუმრობდი. ფეხით ავდიოდით, ავიყოლიე რამდენიმე ჯგუფელი ახლა ერთ-ერთი, მამა გაბრიელი გრემის მონასტრის წინამძღვარია. ახალგაზრდა ვიყავი და ბუნებრივია ოჯახის შექმნაზეც ვფიქრობდი. ერთხელ ასეთი ფრაზა ვთქვი: „მე თუ ამ დრომდე (კონკრეტული თარიღი დავასახელე) არ დავქორწინდები, ბერად უნდა აღვიკვეცო-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ეს შემთხვევით არ წამომცდა. დღესაც მახსოვს და ვფიქრობ, სწორედ ამ სიტყვას ვერ გადაველი. ცოლის შერთვაში რაღაც ხელს მიშლიდა. ამასობაში 33 წელს, ქრისტეს ასაკსაც მივაღწიე. ჩემი ცხოვრება უფალს მივანდე და როცა მივხვდი, რომ უფალი მომიწოდებდა ბერობისაკენ, მივიღე საბოლოო და მტკიცე გადაწყვეტილება. ეს არასოდეს მინანია, შეიძლება ბრძოლებიც ბევრი მქონდა, მაგრამ არც ერთხელ არ წამომცდენია—„აქ ჩემი ადგილი არ არის!“ თავიდან ახალციხის სემინარიის ბიბლიოთეკაში გამიშვა მეუფე სერგიმ, სადაც მარტო, განდეგილივით ვცხოვრობდი. ვიყავი ახალციხის სასულიერო სემინარიის პრორექტორი. 1994 წელს დიაკვნად მაკურთხეს (ბერად არა), მადლობა ღმერთს იმ ორი წლისთვის, 1995 წელს ავედი საფარის მონასტერში, 1996 წელს აღმკვეცეს ბერად, მაკურთხეს მღვდლად, დამნიშნეს საფარის მონასტრის წინამძღვრად. ცოტა ხანში, მაშინ როცა სულ ახალი ნაკურთხი ვიყავი მღვდლად, დამიძახეს—ეპისკოპოსად უნდა გაკურთხოთ და ავტობიოგრაფია დაწერეთ. მაშინ ვთხოვე უფალს, თუ მისთვის სათნო იქნებოდა, აერიდებინა ჩემთვის ეს მძიმე ჯვარი.

ამის შემდეგ საფარის მონასტრიდანაც წამომიყვანეს, მეუფე სერგიმ თავის მოადგილედ დამნიშნა. ამასობაში ე.წ. განდგომილთა პროცესმა წამოიწია წინა პლანზე. 1997 წელს აბასთუმანში დამნიშნეს ეკლესიის წინამძღვრად. 1999 წლამდე მომიწია ოჯახიდან ოჯახში სიარულმა, რათა განდგომის საცდურში არ ჩავარდნილიყო ხალხი. სასწაულმოქმედი სამხელიანი ღვთისმშობლის ხატი ძლიერ მეხმარებოდა ამაში. მას შემდეგ მოგზაურობს ეს ხატი და ახლა ერთი სასიხარულო რამ: რამდენიმე დღეა ზემოხსენებული ხატი ჩამოვაბრძანეთ ცაგერში. და იმოგზაურებს მართლმადიდებელთა ოჯახებში. 1999 წელს ავედი ჭულევის მონასტერში, რომელიც დანგრეული იყო, ფოკის მონასტრიდან სატვირთო მანქანა გვათხოვეს, მას ისეთი ძარა ჰქონდა, რომ საცხოვრებლადაც გამოდგებოდა. სამხედროებამაც არ დაიშურეს და საცხოვრებელი ვაგონი შემოგვაშველეს. მანქანა ბოლომდე ვერ ავიყვანეთ, წყალში ჩაგვრჩა. იქაურმა მოლამ ტრაქტორით ამოგვიყვანა (იქ აჭარლები ცხოვრობდნენ). სამი წელი ასე ვიცხოვრეთ. სახლიც ავაშენეთ, იქ საცხოვრებლად წელს უნდა შევსახლებულიყავით, რომ არა ჩემი ხელახალი გამოძახება სინოდზე და აი, მე აქ, თქვენთან ვარ, როგორც მღვდელმთავარი...

**—დამერწმუნებით, რაოდენ ძნელია—ოჯახი, მშობლები, მეგობრები შეეგუონ ახლობლის ბერულ ცხოვრებას... იყო წინააღმდეგობები?**

—რა თქმა უნდა, მაგრამ მე მტკიცე გადაწყვეტილება მქონდა მიღებული.

**—თქვენ, როცა სინოდზე ეპისკოპოსობის კანდიდატად წარგადგინეს, სწორედ მაშინ დაამტკიცა სინოდმა ისტორიულ ხელშეკრულება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ვიცით, რომ უშუალოდ ესწრებოდით ამ პროცესს. რა მისცა ხელშეკრულებამ ქართველ ხალხს?**

—ამ ხელშეკრულებით ეკლესია თავის ცხოვრებას თვითონ წარმართავს. იგი არის გარანტი ქართული ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისა, მასში არის ქონებრივი მუხლები—სახელმწიფომ ამ ხელშეკრულებით აღიარა ეკლესიის უფლება იმ მიწებსა და ქონებაზე, რომელიც წაართვეს და ძალადობით მიიტაცეს ძნელბედობის ჟამს... კი ბატონო, იყოს ჯერჯერობით მუზეუმებში ის, რაც ჩვენგან წაიღეს, მაგრამ იმის გარანტია ხომ გვაქვს, რომ უჩვენოდ საეკლესიო ქონებას ვერავინ ვერ განკარგავს. ამაში, რა თქმა უნდა, ხალხის თანადგომაც გვჭირდება. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მართლები ვიქნებით ღვთის წინაშე—სახელმწიფოც და ეკლესიაც. ეს ხელშეკრულება რომ შეიცვალოს, აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა, ასე რომ, რა მთავრობაც არ უნდა მოვიდეს, იოლად ვერც ერთი ვერ შეცვლის. ამ ხელშეკრულებამ წერტილი დაუსვა ქართველი ხალხის სულიერ ჩაგვრას.

**—მეუფეო! შემთხვევით არაფერი ხდება. რაიონში საერთო და სასულიერო, ხელისუფლება ერთად შეიცვალა. გაქვთ იმის იმედი, რომ თქვენ და ჩვენი მთავრობა და მხედრობა (ადგილობრივს ვგულისხმობთ) ურთიერთშეთანხმებით ითანამშრომლებთ?**

—ჩვენ ერთმანეთი ჩემი წარდგინების დღეს გავიცანით. ამან გარკვეულწილად ბარიერები მოხსნა და დაგვაახლოვა. ყოველგვარი ხელისუფლება დროებითია, მთავარია ორივემ ვაკეთოთ საქმე. ნებისმიერი ადამიანის შემფასებელი ის კვალია, რომელსაც იგი ტოვებს. თუ ხელისუფლებაში ყოფნის შედეგად რაიმე სასიკეთო ძვრები არ მოხდა, რა აზრი აქვს თანამდებობას?! სასულიერო ხელისუფლებას ეს მომენტი გაცნობიერებული აქვს. მე ბატონ ზურაბთან ინტენსიური ურთიერთობები მაქვს, გვაქვს ერთობლივი ჩანაფიქრები, გეგმები და იმის იმედიც, რომ ისინი ხვალისათვის რეალობად იქცევიან.

**—ლეჩხუმი ღმერთმა დიდი მადლით დაგვაჯილდოვა—ღირსი მამა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი მოგვაბარა. მისი სახელობის საკათედრო ტაძრის აგებაზე ალაპარაკდნენ პატრიარქის სტუმრობის შემდეგ. რა ნაბიჯები გადაიდგა?**

—რაიონის ცენტრში დაგეგმილია მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საკათედრო ტაძრის აშენება, თუ ჩვენ ორიენტაციას ამ წმიდანზე ავიღებთ, ამას ბევრი სიკეთე მოჰყვება.. ახალი პროექტები დაისახება, რაიონის ინფრასტრუქტურაც შეიცვლება. ჩემი აზრით, წმიდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი უფრო მოვლილი უნდა იყოს, იქ მონასტერი უნდა ფუნქციონირებდეს, მისი სახელობის სემინარიაც, რეზიდენციაც კი იქ უნდა მოეწყოს. ჩემი საქმიანობის მთავარი ორიენტირი მის სახელთანაა დაკავშირებული. რადენი ადამიანი ცხოვრობს რაიონში, მის ფარგლებს გარეთ, ვისთვისაც სულერთი არაა ამ წმიდანის სახელი, მათ შემოკრებას ორგანიზება სჭირდება, უნდა დავუკავშირდეთ, შევკრიბოთ ისინი, უნდა ყველა გავერთიანდეთ, გეგმა შევიმუშაოთ. ამ წმინდანის საფლავი რომ აქ მდებარეობს მსოფლიომ უნდა გაიგოს, მერე ღვთის ნებით ყველაფერი კარგად იქნება. აქ ყოველ დღე წირვა-ლოცვები მიმდინარეობს. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გამგებელთან ერთად შევძლებთ ძირითადი საკითხების მოგვარებას, პარლამენტის თავმჯდომარეც, ქალბატონი ნინო ბურჯანაძეც ჩვენს გვერდით დგას ამ საქმეში. ერთი სიტყვით, ღვთისნება თუ იქნება, ყველაფერი გაკეთდება.

**—თქვენ, ახალციხის მკვიდრს, ალბათ სექტებთა და სხვადასხვა რელიგიური მიმართულებათა სიმრავლით ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ იეღოველები, ჩვენთანაც მრავლად არიან. რა ხერხია თქვენი აზრით ყველაზე ეფექტური, რომ ისინი ისევ ქრისტიანებად მოექცნენ?**

—იეღოველები ვერასოდეს გახდებიან ძალა. ბასილ მკალავიშვილი არის იეღოველების რეკლამა. დიახ, მათ წინა პლანზე წამოწევა მისი დამსახურებაა. მკალავიშვილი და იეღოველები ერთ საქმეს აკეთებენ. მათთან ბრძოლის ასეთ ხერხებს რეალური შედეგები ნამდვილად არ მოაქვს. გახსოვთ, რამდენჯერ არ ეთანხმებოდნენ უფალს ჩვენსას-იესოს, მაგრამ როდესმე ცემა-ტყეპის მეთოდები თუ გამოუყენებია, არამედ სიტყვით ცდილობდა ის ხალხთა მოქცევას. გახსოვთ რა უთხრა მოციქულებს.

„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველი ქვეყანა ცდომილი ხომ საცოდავია, გაუგებრობაში მოხვდა, მას [illegible] აგებინო მტყუან-მართალი. [illegible] კი რა ხდება—ის გაბოროტდა, ჩვენ კიდევ ბოროტებით უნდა ვებრძოლოთ? არ მოკვდება ეშმაკი ძალის გამოყენებით, პირიქით, ძლიერდება ჩვენში, ჩვენ თვითონვე ვხდებით ეშმაკის მსხვერპლნი. ტყუილად ხომ არ ამბობს უფალი, მარჯვენის შემდეგ მარცხენა მიუშვირეო.

**—ხშირად გვსმენია—რა ეკლესია-მონასტრების შენება აუტყდათ, უკეთესია მაგ ფულით გაჭირვებულებს დაეხმარონო.**

—ეს არასწორი მიდგომაა განა ყველაფერი უფალმა არ მოგვცა ჩვენ? რამდენი ფული იხარჯება ჰუმანიტარულ დახმარებაში—უამრავი. რა შეიცვალა ამით? დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს „დავიბადე, გავიზარდე ამდენ ხანს ვიცოცხლე და არ მინახავს კაცი, რომელიც ესავდეს უფალსა და არ ჰქონდეს ცხოვრების საშუალება“. უფალი ყველაფერს ხედავს, ყველასთვის ზრუნავს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ უფალთან სწორი ურთიერთობა და შედეგიც არ დააყოვნებს. რატომ ჰქვია დავით მეფეს აღმაშენებელი? მის დროს ხომ უარესად უჭირდა ხალხს, რა გააკეთა მან?

**—ჟურნალ „ჭულევის“ I ნომერში, რომლის რედაქტორიც თქვენ ბრძანდებით, თქვენივე სტატიაში „რა არის თავისუფლება“, ამბობთ: „თავისუფლება არის ჭეშმარიტების შემეცნებით ცოდვის მონობისაგან თავის დაღწევა, ხოლო ჭეშმარიტება არის თვით უფალი ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე“. იქვე, წერილის დასასრულს სვამთ შეკითხვას: „არის სული უფლისა, „თავისუფალ“ მასმედიაში? თუ არის მაშინ რატომ ხდება უკეთურობის ტირაჟირება? ვის ემსახურებიან ისინი? ადამიანის თავისუფლებას? მაგრამ სად არის სული უფლისა?“**

**როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენც ჩავდოთ სული უფლისა თავისუფალ მასმედიაში?**

—ღვთის წინაშე მართალი უნდა იყოთ, და მეტი არაფერი. თქვენ თვითონვე დაუდექით საკუთარ თავს ცენზორად. შემწყნარებელნიც უნდა იყოთ, ამასთან პრინციპულიც, ოღონდ მხოლოდ ბოროტების წინააღმდეგ.

**—გმადლობთ!**

◆

*ბევრი ვისაუბრეთ. საღამოს სერობის ლოცვა მის გარეშე წაიკითხეს ბერებმა, ძალიან გულღია იყო, სწორედ ისეთი ქრისტესმიერი პიროვნება რომ იქცევა. ჩვენ უკან ხელცარიელები არც სხვა მხრივ დავბრუნებულვართ—ბედმა გაგვიღიმა და საეპარქიო გაზეთსა და ჟურნალში რედკოლეგიის წევრობის შანსიც მოგვეცა, მასთან თანამშრომლობის სურვილი ნამდვილად გამოვხატეთ და მომავალში შეხვედრის იმედით დავტოვეთ მონასტრის ლამაზი ეზო.*

მარინა სვანიძე
ეკატერინე ბენდელიანი

რეკლამა

## წიგნის რომ მოგვენატრება?!

რეკლამა

კომერციული სტრუქტურა ძალუმად შემოიჭრა ჩვენს ყოფაში. კარგია თუ ცუდი, ეს რეალობაა და თავის დადებითიც აქვს და უარყოფითიც. თუმც ამაზე არ ვაპირებთ კამათს. მართლაც, თითქმის ყველაფრის შეძენა შეიძლება ცაგერის სინამდვილეში, თუკი, რა თქმა უნდა, ამის საშუალება არის. ერთია მხოლოდ წიგნი არ ჩანს დახლებზე. შესაძლოა, ვიღაცას ჩაეცინოს—რა დროს წიგნია—პური და ელემენტარული საარსებო გვაქვსო საძებარი, მაგრამ ზოგიერთისთვის არანაკლებ სულიერი საზრდოა წიგნი. ტელევიზიით ხშირად ვისენთ, გამოდის ახალი გამოცემა, საინტერესო ლიტერატურა, რომლის შეძენა ჩვენთვის მიუწვდომელია.

თუ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ვისაც ეს ხელეწიფება, გულთან მიიტანოს ლეჩხუმელ მკითხველთა სურვილი და სხვა საქონელთან ერთად წიგნიც შემოიტანოს ქსელში. გვინდა დავარწმუნოთ, რომ წიგნი ნამდვილად გაიყიდება, ჩვენც კმაყოფილი დავრჩებით და არც თავად დარჩება უკმაყოფილო.

მკითხველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეპორტაჟი ცაგერის საშუალო სკოლიდან



ამ ეზოში სილამაზესა და სისუფთავეს, სითბოსა და სიყვარულს აბა რა გამოლევს, მაგრამ მას შემდეგ რაც ცაგერის საშუალო სკოლის ძირითად კორპუსს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, უჩვეულო ხიბლი დგას. გამვლელ-გამომვლელის თვალს არ გამოეპარება საუკუნის წინანდელი შენობის აგრერიგად გალამაზება, განსაკუთრებით კი ეს მოვლენა სკოლის დირექციას, მის პედაგოგიურ კოლექტივს, მშობლებსა და ბავშვებს ეამაყებათ.

ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნუნუ ჩაკვეტაძეს ვესტუმრეთ და ჩვენი საუბრის თემაც ეს იყო.

„—წლების მანძილზე ვოცნებობდით ამ ისტორიული სკოლის ძირითადი კორპუსის რეაბილიტაციაზე. გასულ წელს, მაშინ როცა რესპუბლიკის ბიუჯეტი ჩაიგეგმა, ცაგერის საშუალო სკოლის რემონტისათვის 35 ათასი ლარის სამუშაოები იქნა გათვალისწინებული. ამ საქმის დაგეირგვინებაში დიდია წვლილი ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი კარლო მუშკუდიანისა. მაისის თვეში უკვე გაკეთებული იყო სკოლის დეფექტური აქტი, შედგა ხარჯთაღრიცხვაც, სკოლის რემონტი კი, რესპუბლიკაში ფინანსური შეფერხებების გამო ცოტა მოგვიანებით, აგვისტოში დაიწყო. სამუშაოების მწარმოებლად კი შ.პ.ს. „ადგილმრეწველობა“ დამტკიცდა ბატონი სოსო მუშკუდიანის ხელმძღვანელობით.

ალბათ თქვენც ნახეთ რა დიდი მოცულობის რემონტი გაკეთდა—მოხდა დაზიანებული კედლების აღდგენა. გამოიცვალა კარ-ფანჯრები, დაიდგა ახალი საკეტები. წლების მანძილზე მოძველებული, ერთჯერადი ბოქლომებით ვკეტავდით საკლასო ოთახებს, რითაც ბევრი პრობლემა გვქონდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ისტორიის კაბინეტის შემოსასვლელი კიბის შეკეთება. ის ძალიან ავარიულ მდგომარეობაში იყო, გადაუდებელ აღდგენას საჭიროებდა. ასევე, რომ იტყვიან, სამარცხვინოდ გამოიყურებოდა უცხო ენის კაბინეტი და მისი მიმდებარე ტერიტორიაც. გამოცვალა შენობის სახურავი, ჭერი, იატაკი, გაკეთდა ე.წ. სამტიხრები, შეილება იატაკი და კედლები, სოსო მუშკუდიანს არც სკოლის ეზო დაუტოვებია უყურადღებოდ—დაიდგა ახალი ღობე, წლების მანძილზე ჩანგრეული და უმოქმედო აუზიც ამოვაშენეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, სკოლის ქვედა შენობაშიც მოვახერხეთ პატარ-პატარა სამუშაოებიც ჩაგვეტარებინა: შევარემონტეთ საკლასო ოთახის კარებები, კიბის მოაჯირები, სულ მთლიანად მოვშალეთ მოძველებული, არაფრის მთქმელი გათბობის სისტემის რადიატორები და მილები, რომელიც ისევ ჩვენს სასარგებლოდ, სკოლის გასალამაზებლად გამოვიყენეთ.

განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო სამუშაოთა მწარმოებლის, ბატონი სოსოს უანგარო, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი. იგი აბსოლუტურად ითვალისწინებდა ნებისმიერ შენიშვნას არა მარტო დირექციისაგან, არამედ თითოეული პედაგოგისგანაც კი. მოკლედ, 35 ათასი ლარი სრულად და მიზნობრივად იქნა ათვისებული, საქმე კი ხარისხიანად გაკეთდა. მისი მუშაობის ნებისმიერი დეტალი დაფარულ-დამალული არავისთვის ყოფილა, დირექტორის, განათლების განყოფილების გამგის, პროფკავშირის თავმჯდომარის, სასწავლო ნაწილის გამგის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ კეთდებოდა თითოეული დეტალი. არც ჩვენ და არც მას საკუთარი თავისთვის უფლება არ მიგვეცია, რაღაც ფინანსური მაქინაციები ჩაგვეტარებინა. თუნდაც ის ფაქტი, რომ მშენებლები ძირითადად ამ სკოლის პედაგოგებითა და ტექნიკური მუშაკებით იყვნენ დაკომპლექტებული, ბევრს სასიკეთო რამეზე მეტყველებს.

ერთი სიტყვით, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან სკოლის სახელით, მშობელთა სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ სოსო მუშკუდიანს და საერთოდ ყველას, ვინაც მონაწილეობა მიიღო ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეში“.

ქალბატონმა ნუნუ ჩაკვეტაძემ თავის კაბინეტში რამდენიმე პედაგოგიც მოიხმო და მადლიერების გამოხატვა არც მათ გაძნელებიათ.

**დუდუშა გორგასლიძე**—ცაგერის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი—„ბატონი სოსო და მისი სამშენებლო კოლექტივი ყოველნაირად ცდილობდა ჩვენი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას. მე წლების მანძილზე აქ ვმოღვაწეობ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი გლობალური ხარისხის რემონტი ჯერ აქ ნამდვილად არავის ეწარმოებია. მადლობა ყველას, ვინც კი პატარა წვლილიც კი შეიტანა“...

**დარეჯან გასვიანი**—ისტორიის პედაგოგი—„ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი ისტორიის კაბინეტი განსაკუთრებულად ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თითქმის მთელი ინტერიერი შეიცვალა შემოსასვლელი კიბიდან დაწყებული. იმ პერიოდში ჯანმრთელობის გამო სკოლაში ვერ დავდიოდი. სოსომ შემომითვალა, „არაფერზე ინერვიულოთ, ყველაფერი თქვენ როგორც მოგინდებათ, ისე დაგხვდებათო და მართლაც ასეა. ეჭვიც არ გვეპარება, რომ 35 ათასი ლარი მიზნობრივად დაიხარჯა“.

**ირინე თავაძე**—რელიგიის ისტორიისა და კულტურის მასწავლებელი—„ჩემი კაბინეტიც ნამდვილად ხარისხიანად და ლამაზად გარემონტდა. საპრეტენზიო არაფერი მაქვს, თქვენ წარმოიდგინეთ, სალებავების ფერებსაც კი ჩვენი სურვილით არჩევდნენ. მადლობის მეტი სხვა რა გვეთქმის“.

◆◆◆



ბუნებრივია, საქმის მთავარ „მოქმედ გმირთან“, სამუშაოთა მწარმოებელთან, ბატონ სოსო მუშკუდიანთანაც მოგვიხდა ამ თემაზე საუბარი. თავიდანვე თავმდაბლობით გვიპასუხა: „ლაპარაკი რა საჭიროა, მიდით, სკოლა ნახეთ და ჩემს შეფასებას ალბათ ის მოგცემთო“. შემდეგ კი ისიც დასძინა: „მენდეთ, ნამდვილად მონდომებით ვიმუშავეთ ყველამ ერთად. სკოლის დირექტორი, თავის საქმეზე უზადოდ შეყვარებული ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე, პედაგოგები გვერდით მედგნენ და მუშა-ხელიც. ბიუჯეტთან მიმართებაშიც ყველა ვალი გავისტუმრეთ და სიამაყის გრძნობაც თან დამყვება—ჩვენი მომავალი ხომ აქ ეუფლება ცოდნის მწვერვალებს“.

◆◆◆

ძალიან კარგი... სკოლის რემონტის შედეგებით ერთი მხარეც კმაყოფილია და მეორეც. და არა მარტო ისინი—ყველას, ნებისმიერ ჩვენს ქალაქელს გვგვრის სიამოვნებას ამ ახალი ინტერიერის ნახვა, სუფთა და განათლებული საკლასო ოთახების შეხედვა. ფაქტი ერთია—სასიკეთო საქმე გაკეთდა, ჩვენს შვილებს სწავლა-განათლების პირობები გაუუმჯობესდა.

იქნებ ხვალ ვინმემ სკოლის ქვედა შენობის რემონტზეც იზრუნოს. მერწმუნეთ, აქ ჩადებული დივიდენდები ისევ ჩვენ, ლეჩხუმლებს უკან ათმაგად დაგვიბრუნდება.

**მარინა სვანიძე**

# პანკისის ხეობა ლეჩხუმიდანაც კონტროლდება...



ხშირად დასმულ კითხვაზე, თუ როგორ მოაღწია ესოდენ პატარა ერმა—ქართველობამ დღემდე, როგორ შეინარჩუნა ესოდენ პატარა ქვეყანამ—საქართველოს ენა, მამული, სარწმუნოება, პასუხი ჩვენვე გაგვიცია—უფლის ძალით და კიდევ იმით, რომ გაჭირვების ჟამს ქუდზე კაცი ირაზმებოდა სამშობლოს დასაცავად.

დღეს, როცა პოლიტიკური ბუმია საქართველოში და სამშობლოს სადარაჯოზე წასვლას რბილ სავარძლებში მოკალათებას ამჯობინებენ, ცაგერის რაიონის პოლიციის განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორმა, პოლიციის უმცროსმა ლეიტენანტმა დავით კოპალიანმა, რაიონიდან პირველმა, პანკისის ხეობას მიაშურა.

ხეობაში შინაგანი ჯარის შესვლის შემდეგ, რაიონებიდან პოლიციის თანამშრომლების მასიური გაწვევა დაიწყო. ცაგერიდან, როგორც მაღალმთიანი და თანაც პატარა რაიონიდან მოხდა ერთ ჯერზე თითო პოლიციელის გაწვევა, სწორედ მაშინ მიიღო დათომ განყოფილების ხელმძღვანელთაგან შემოთავაზება, რაზეც უყოყმანოდ დათანხმდა—საქმე სამშობლოს დაცვას ეხებოდა, დაძაბული წერტილი კი პანკისი იყო.

შორიდან, ერთი თვალის შევლებით იქაურობა სასიამოვნო სამყოფელად ნამდვილად არ მოჩანს, ამდენად, მე დავინტერესდი, რატომ არ დააბრკოლა შიშის ფაქტორმა დათო, რაზეც მან მიპასუხა: „შიშის გრძნობა აქედან გასვლამდე უფრო მქონდა, ვიდრე იქ ჩასვლისას, როდესაც პანკისური სიტუაცია გავიაზრე, შიშზე ფიქრისთვის დრო აღარ მრჩებოდა, თუმცა რაღაც უჩვეულოს ბოლომდე განვიცდი“. გამოუცდელს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ჩვენი რეგიონის სამმართველოს თანამშრომლებთან ურთიერთობამ ყოფაც გაუადვილა და გამოცდილებაც შესძინა.

პოლიციელების საქმიანობა დღის განმავლობაში სოფლებისა და გზების პატრულირება გახლდათ, რასაც ღამით შინაგანი ჯარი აკეთებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე არანაირ სამხედრო კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია, მშვიდობიანი მოსახლეობა მაინც დაძაბული იყო, თითქმის პანიკურ მდგომარეობას სამხედროებით იქაურობის დატვირთვა იწვევდა.

ცნობილია, რომ პანკისის ხეობაში ნარკობიზნესს საკმაოდ აქვს ფეხი მოკიდებული, კონტროლი ამ მხრივაც ვრცელდებოდა.

„რაც მევალა და რაც ამ ეტაპზე შემეძლო, ყველაფერი, ვფიქრობ, გავაკეთე. საჭირო თუ გახდება, შემიძლია ხვალვე დავბრუნდე ხეობაში და დავდგე ქართველების გვერდით. აფხაზეთის დაბრუნებაზე თუ მიდგება საქმე, იქაურობასაც ერთ-ერთი პირველი მივაშურებ.

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ დათო ლეჩხუმში უკვე საკმაოდ ცნობილი და ღირსეული თამადაა, ხეობაში ყოფნის მანძილზე კი სამშობლოს სადღეგრძელოს თქმის შესაძლებლობა მას მხოლოდ უკან დაბრუნებისას გურჯაანში, თანამშრომლის ოჯახში მიეცა.

**თამარ დავითულიანი**

# რა ხდება ჰესში?

ერთადერთი სიკეთე, რაც ლეჩხუმს დღემდე შემორჩა, ელექტროენერგიის მიწოდება გახლდათ, თუმცა არა ხარვეზების გარეშე, მაგრამ საერთო მდგომარეობის ფონზე სამდურავი ნამდვილად არ გვქონდა... ეს იყო დღემდე... ახლა კი თანათან იმატა ბნელმა დღე—ღამეებმა და თანდათან ემსგავსება ჩვენი მთა—გორიანი რაიონი ჯურღმულს.

საქართველოში შემთხვევით არაფერი ხდება, ამიტომ გადავწყვიტეთ ლაჯანურჰესში ვიზიტი, რაც ათობით ცაგერელის გამუდმებულმა თხოვნამ—გაარკვიეთ რამე—დააჩქარა, ლაჯანურჰესში, რომელმაც ლეჩხუმს ელექტროენერგიასთან ერთად სხვა ბევრი „სიკეთეც“ მოუტანა, მათ შორის გადამეტებული ტენიანობა, გაუთავებელი მეწყრიანობა, ენდოკრინული დაავადებების მაღალი მაჩვენებელი...

ლაჯანურჰესის თაღოვანი კაშხალი პირველი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში. მისი პირველი აგრეგატი ამუშავდა 1960 წლის იანვარში, ხოლო უკანასკნელი—იმავე წლის ივნისში.

ლაჯანურჰესში მისულებს დირექტორი მერაბ მუკვანი ადგილზე არ დაგვხვდა, მეგზურობა და კონსულტაცია საექსპლუატაციო სამსახურის უფროსმა მამუკა ფრუიძემ და დირექტორის მოადგილემ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამეთვალყურეო საბჭოს ერთ—ერთმა წევრმა გიზო მუკბანიანმა გაგვიწიეს.

ჰესში ამჟამად მართლაც რემონტია, რაშიც გამწარებულ მოსახლეობას უკვე ეჭვიც კი შეეპარა, რემონტს ფრანგული კომპანია ——— აწარმოებს, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე თვრამეტი თვის მანძილზე უნდა გაგრძელდეს, ამას თუ დაემატება აქაური თანამშრომლების გაუთავებელი გაფიცვები ხელფასის დავალიანების მოთხოვნით, რომელიც სამუშაოებს აფერხებს, და ის მოულოდნელად აღმოჩენილი ხარვეზები, რომელიც მართლაც მოულოდნელი სიურპრიზებით გვავსებს, შესაძლოა თვრამეტი თვე მეტადაც გაიწელოს.

სექტემბრიდან დაწყებული რემონტის შედეგი დღემდე ნაწილობრივ დაშლილი სადგურია, თუმცა სასურველი იყო დაშლამდე საფუძვლიანი დათვალიერება ჩატარებულიყო, ჩანს, ფრანგებს არ ეჩქარებათ ჩვენთვის დენის მოწოდება, ისევ ქართველებმა უნდა ვიზრუნოთ ერთმანეთისთვის, თუ კიდევ შემოგვრჩა რაიმე ადამიანური.

ერთი აგრეგატის ჩართვაზე, რომლის ფუნქციონირებაც შეიძლება და რომელზეც ამ ხნის მანძილზე ლაჯანურჰესის მუშაობა იყო დამოკიდებული, ფრანგები სასტიკ წინააღმდეგობას სწევენ, იმ მიზეზით, რომ ერთის ჩართვა დანარჩენი ორის დატბორვას და მწყობრიდან გამოსვლას გამოიწვევს, და რაც რემონტში კიდევ უფრო შეუშლით ხელს.

საინტერესოა, რა კონსტრუქციით ააგეს სახელთქმულმა საბჭოთა კონსტრუქტორებმა სამაგრეგატიანი გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგური, რომ ერთი მათგანის შესაკეთებლად მთელი ჰესის გაჩერებაა საჭირო, ან იმ ზემოთაღნიშნულ საექსპლუატაციო შუალედში 1960 იანვრიდან—ივნისამდე როგორ მოამთავრეს დარჩენილი სამუშაოები უმოქმედო ორ აგრეგატზე.

როგორც ბატონმა მამუკამ გვითხრა, მერაბ მუკვანი მაქსიმალურად ცდილობს დაარწმუნოს ფარნგები აგრეგატის მოქმედების შესაძლებლობაში და მიიღოს ჰესის ჩართვის უფლება. დატბორვის საშიშროების თავიდან ასაცილებლად კი სპეციალური ლუქის გამოყენებას სთავაზობს, თუ აღნიშნულმა გაამართლა, შესაძლოა, ორ კვირაში ჩვენი ელექტროენერგია აღგვიდგეს და შვებითაც ამოვისუნთქოთ, თუ არა და... ვის მოვთხოვოთ პასუხი—საბჭოთა ინჟინერ კონსტრუქტორებს, რომლებიც დღეს შეიძლება განისვენებენ კიდეც, ენერგეტიკის სამინისტროს, რაიონის ხელისუფლებას, ჰესის ხელმძღვანელობას ... თუ ვის?

გაჩახჩახებული ალპანის ხილვისას, რომელიც ქუთაისიდან მარაგდება, ერთი კითხვაც გაგვიჩნდა—რატომ არ შეიძლება „ქუთაისური“ დენი ცაგერმაც მიიღოს, ეს პრობლემა თანამოსაუბრეებმა საბითუმო ბაზრის „ურჩ“ დისპეჩერს გადაულოცეს, რომელიც თურმე თავისი სურვილისამებრ ჩაგვირთავს და გამოგვირთავს შუქს. იმ ორი—სამი მეგავატის, რაც ჩვენ რაიონს ესაჭიროება, დაფიქსირების შემთხვევაში ქუთაისი, როგორც გვითხრეს, ლაჯანურჰესს შეუწყვეტს რესპუბლიკური მნიშვნელობის რეაბილიტაციისათვის საჭირო ენერგიასაც კი. ვინ უნდა დაიმორჩილოს „ურჩი“ დისპეჩერი?

ჰესელები ხელს რაიონის ხელმძღვანელობისაკენ იშვერენ, ხელისუფლება უნდა ჭრიდეს ამ პრობლემასო, რაზეც ცაგერის რაიონის გამგებელმა ზურაბ ხეცურიანმა ასეთი კომენტარი გააკეთა. რა თქმა უნდა, ეს პრობლემაც, როგორც ყველა დანარჩენი, ჩვენი გადასაჭრელია, მე მცდელობას არ ვაკლებ, მაგრამ რესპუბლიკაში ამჟამად კრიზისია, ელექტროენერგიის დეფიციტს განიცდიან ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიც თბილისი და ქუთაისია, „კავკასიონის“ გადამცემი ხაზის აღდგენას იქნებ გააუმჯობესოს მდგომარეობა და ჩვენმა მოსახლეობამაც შვებით ამოისუნთქოს.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ლენტეხის რაიონიც, ლეჩხუმლებიც, ისევე როგორც სვანები უმაღლეს ხელისუფლებაში, პარლამენტში თუ სხვადასხვა ავტორიტეტულ თანამდებობებზე მყოფი ღირსეული წარმომადგენლებით ვიწონებთ თავს, იქნებ მათაც წაგვაშველონ სიტყვა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ბოლოსდაბოლოს, თვით ჰესის მესვეურებმა, როგორც მწარმოებლებმა იმოქმედონ ამ პრინციპით—მოგვცემთ ელექტროენერგიას, ჰესის ამოქმედების შემთხვევაში ჩვენც მოგამარაგებთ, როგორც ადრე, ცხენისწყალი ხომ ახლაც კვებავს იმერეთის არაერთ ჰესს.

მასპინძლებმა ცაგერის რაიონის მოსახლეობის გადახდისუუნარობასაც გაუსვეს ხაზი, ალბათ არც ამ მიზეზითაც უნდა გვეუცხოოს უდენობა. სახელფასო დავა-

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღე, რომელიც მოვლენად იქცა

*„პურის შემდეგ ხალხს ყველაზე მეტად სკოლა ესაჭიროება“ — დიდებულად უთქვამს ბრძენს. დიახ, სიცოცხლის ძარღვია სკოლა, უკეთესი ხვალინდელი დღე, ჩვენი შვილების განსწავლულობისა და აღზრდის შეუცვლელი ტაძარია. მაგრამ დღევანდელი კატაკლიზმების ფონზე უფრორე სკოლის დახურვაზე თუ შევსწრებით საუბარს, კონტინგენტის შემცირებაზე და სხვა უსიამოვნო მოვლენებზე, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების რეალობაა. ... და, ამ დროს, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ქვედა ცაგერის სინამდვილეში საშვილიშვილო ფაქტი მოხდა - არსებული საბაზო (9-წლიანი) სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა.*

### ყველაფერი კი ასე დაიწყო:

მეცხრე კლასის მოსწავლეებს გაუჩნდა იდეა, სკოლის საშუალო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ. ჩანაფიქრი ახალგაზრდა პედაგოგს მაყვალა კოპალიანს გაანდეს—რომელიც ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული ამ საქმით. მერე მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივი ერთად შეიკრა. დირექტორს, ბატონ დავით კოპალიანს გულში უხაროდა, რომ იდეა ვითომდა მხოლოდ „ქვევიდან“ მოდიოდა. ამის შემდგომ ბევრს ნიშნავდა სკოლის პირველი პირის ავტორიტეტი, პრინციპული, დასაბუთებული მოთხოვნა და მონდომება, რომელსაც მხარი დაუჭირეს განათლების განყოფილების, სამინისტროს ხელმძღვანელებმა და ასე საერთო ძალისხმევით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გადაწყდა ქვედა ცაგერის საბაზო სკოლის ბაზაზე გახსნილიყო საშუალო სკოლა. დირექტორი თავის უძრავ-მოძრავ ქონებით სამასწავლებლოში გადაბარგდა და კაბინეტი მეათე კლასელებს დაუთმო.

სკოლაში ზეიმით აღინიშნა ეს უმნიშვნელოვანესი დღე. ზეიმზე მოვიდნენ სოფლის, განათლების განყოფილების ხელმძღვანელები, მშობლები, ყველა, ვისთვისაც ნამდვილად არ არის სულერთი ჩვენი შვილების სწავლება და აღზრდა, მომავლის მოქალაქეებად ჩამოყალიბება.

საშუალო სკოლის გახსნის შესახებ განათლების სამინისტროს ბრძანება განათლების განყოფილების გამგემ, გულივერ ბრეგვაძემ წაიკითხა, დამსწრეთ ღირსშესანიშნავი მოვლენა მიულოცა და პირველკლასელებს უფასოდ გადასცა სახელმძღვანელოები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი დავით კოპალიანი. მოსწავლეებმა მადლიერება და სიხარული მშვენიერი კონცერტით გამოხატეს.

ვუყურებდი აქაურთა ბედნიერ სახეებს და ვფიქრობდი: იქნებ, ქვედა ცაგერლებს ბოლომდე ვერც კი გაგვიცნობიერებია ის უდიდესი სიკეთე და მადლი, რაც აქ უფლისა და კაცის შეწევნით დატრიალდა.

### მთავარი კი მაინც რა იყო:

რამდენიმე წელია დავით კოპალიანი ხელმძღვანელობს სკოლას. მისი პერსონის წარდგენა არა გვგონია სჭირდებოდეს მკითხველს. არა, ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნამუშევარი, გამოცდილებით დატვირთული, უდიდესი პასუხისმგებლობით გამორჩეული თავისსავე სოფლის სკოლის ხელმძღვანელად დაინიშნა. მოვიდა ახალი შემართებით, გეგმებითა და ამოცანებით. კოლექტივიც იმთავითვე დაუდგა გვერდით. სკოლამ მალევე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი რაიონის სკოლებს შორის და არა მარტო რაიონის.

თანამედროვე მოზარდს სხვა მიდგომა სჭირდება, სხვა ალღო და კრიტერიუმები, სხვა მეთოდები—ეს მშვენივრად გაუთავისებია სკოლის ნიჭიერ კოლექტივს. ამაზე აკადემიური პარამეტრებიც მიუთითებს. შარშან სასწავლო წელი მოსწავლეთა 59 პროცენტს წარჩინებით დაუსრულებია. სკოლა წარმატებით გამოდის შემოქმედებით ტურებში, კონფერენციებში, სხვა სასწავლო შემეცნებით ღონისძიებებში, მიღწევები აქვს მუსიკაში, სპორტში...

და რაც ყველაზე უმთავრესია — სოფელში არის პერსპექტივა ბავშვთა კონტინგენტის კლავზრდის. ამის იმედს იძლევა სოფლის დემოგრაფიული სურათი, მოსახლეობის მატება.

და ყოველივე ზემოთთქმულის ლოგიკური შედეგი გახლავთ ის, რომ 2002 წლის სექტემბრიდან ქვედა ცაგერში საშუალო სკოლა ფუნქციონირებს.

### ორიოდ სიტყვით წარსულზე

ქვედა ცაგერში 1930 წელს გახსნილია ოთხკლასიანი სასწავლებელი. სოფელი პატივისცემით მოიხსენიებს სკოლის აღმზრდელ-პედაგოგებს ზაქრო ლიპარტელიანს, ბაბი გოგიძეს, ლიდა ლეთოდიანს, თამარ ჩახულიანს, სხვებს.

1971 წელს დაწყებითი სკოლა 8-წლიანად გადაკეთდა დავით კოპალიანის ინიციატივით.

ბედნიერია სოფელი, რომელიც მზარდია, ფესვმაგარია, ძლიერია, უკეთესი ხვალის მომლოდინე.

### ცოტაც აწმყოზე

ყოველ დილა-სისხამზე ძალუმად რეკს ქვედა ცაგერის საშუალო სკოლის ზარი, ყოველ ცისმარე 109 მოზარდი აღვიძებს სკოლის მშვენიერ ეზო-გარემოს. მიუხედავად იმისა, სკოლა შორსაა კომფორტისაგან, არატიპიურ შენობაშია განთავსებული და ფართიც ძალზე შეზღუდული აქვს, აქ არსებული სისუფთავე და წესრიგი, სილამაზე, დადებით განწყობას უქმნის ბავშვებს. თქვენ უნდა გენახათ, რა სიხარულითა და გალობით დაყვებოდნენ მეათეკლასელები მამა იოსებს, რომელმაც გულმხურვალედ აღავლინა სკოლის ლოცვა-კურთხევა.

სკოლა და სოფელი სხვამაც დალოცა იმ დღეს—ხვალინდელი დღე დაულოცა—უფრო ნათელი, ლამაზი და სვებედნიერი.

### მომავალში

მეტი თანადგომა სჭირდება სკოლას—პრაქტიკული თანადგომა სოფლისგან, ხელმძღვანელებისაგან. როგორც უკვე ვთქვით, სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბევრია პრობლემაც, მაგრამ როცა მოზარდის სიყვარულია, საქმის სიყვარული, ყველაფერს მოევლება.

◆◆◆

ბოდიშს ვუხდით ქვედა ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივს ჩვენი არაოპერატიულობის გამო, თუმც მოვლენას, რომელზეც ზევით გვქონდა ლაპარაკი, ვერა და ვერ გააფერმკრთალებს დრო.

**მზევინარ ძნელაძე**

---

## ხელოვანი ჩვენს გვერდით

# „რომ სიძულვილმა არ შეგვმუსროს“...

„ჩვენი დრო ფეხმძიმეა ტრაგედიით. ხელოვნება ხელოვნებისთვის არაადამიანურობაა. მხატვარიც იქ უნდა იყოს სადაც ხალხია, მასთან იტიროს და ილხინოს“.

დადის იგი ჩვენი ქალაქის ქუჩებში—ამაყი და დინჯი, დაფიქრებული, თბილი და ღიმილიანი სალმით. საუბარი საინტერესო და მიმზიდველი აქვს.

ეს ახალგაზრდა მხატვარი ნუგზარ კოპალიანია, რომლის სახელს სიყვარულით წარმოთქვამენ ლეჩხუმში.

ბავშვობიდან მხატვრობა და ავიაცია ერთნაირად აინტერესებდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის საავიაციო ტექნიკუმი დაამთავრა და სამუშაოდ საავიაციო ქარხანაში გაამწესეს. თუმც მხატვრობის ნიჭი კვლავ აწვალებდა, ძმაც შეუჩნდა და მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა თბილისის სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, წიგნის ილუსტრაციის სპეციალობით.

სტუდენტობიდანვე დაიწყო ნუგზარის შემოქმედებითი მუშაობა: მონაწილეობდა სტუდენტურ გამოფენებში, სწავლის პარალელურად მუშაობდა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში წიგნის ილუსტრატორად.

აკადემიის ბოლო კურსზე რომ ვიყავი,—იგონებს მხატვარი, სადიპლომო შრომად „შუშანიკის წამების“ ილუსტრირება დამავალეს. სერიოზული სამუშაო იყო შესასრულებელი: საფუძვლიანად უნდა შემესწავლა ნაწარმოები ეპოქის პოლიტიკურ-სოციალური გარემო, რეალურად წარმომეჩინა მოქმედი პერსონაჟების სახეები. გარკვეული მიზეზების გამო მუშაობას გული ვერ დავუდე, დამიბარა რექტორმა და გვარიანად „შემახურა“, რაც წამალივით მომიხდა. დავიწყე ინტენსიური მუშაობა, დღე-ღამეში 14—16 საათს ვხატავდი თავაუღებლივ... მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა სადიპლომო ნაშრომი ფრიადზე შემიფასეს და წინადადება წამოაყენეს „შუშანიკის წამების“ ჩემს მიერ შექმნილი ილუსტრაციები ცალკე ალბომად გამოცემულიყო.

გასრულდა სტუდენტობა. თითქოს ყველაფერი წინ იყო, აშკარად ლამაზი მომავლის კონტურებს ხედავდა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ წარჩინებით კურსდამთავრებულს სამუშაოც არ მისცეს. ბოლოს დედულეთში (ოზურგეთი) უწყალობეს საქმე და სკოლაში ასწავლიდა ხატვას.

მალე სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. ლენინაკანში, სამხედრო ნაწილში, როგორც მხატვარს, პაწია სახელოსნო მოუწყვეს და შეკვეთა მისცეს: მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები დაეხატა(?!) „ძალა ალმართს ხნავსო“ და, მეც, შეუდექი ბრძანების შესრულებას. ის კი არა, ისე დავხელოვნდი, ერთ პორტრეტს ერთ დღეში ვამთავრებდი.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ ნუგზარს დედულეთში გული არ დაუდგა და ლეჩხუმს მოაშურა. მას აქეთ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მხატვარ-გამფორმებელია, ასევე—ცაგერის სახალხო თეატრის მხატვარი.

-დღეს უკვე საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს ახალგაზრდა მხატვარს. შესრულებული აქვს გრაფიკული სერია ბიბლიურ სიუჟეტზე რამაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამ რამდენიმე წლის წინ ცაგერში, სურათების გალერეაში მისი ნახატების პერსონალური გამოფენა შედგა. მადლობა ღმერთს, მისი ნიჭის დამნახავ-დამფასებელი ბევრია ლეჩხუმში და არა მარტო აქ...

ნუგზარ კოპალიანის ნაწარმოებებში აშკარად მოჩანს მხატვრის სულიერი სამყარო და განცდა. არც ერთი ყალბი შტრიხი, არც ერთი ყალბი ნიუანსი, როგორც იქნა მიეცა საშუალება სრული თავისუფლება მიანიჭოს ფუნჯს.

მერედა როგორ უყვარს თავის ნახატები. არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს, ყველა თავისთავადია, საინტერესო. როგორც შვილს, ვერც ერთს ვერ ელევა თავად. მისი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო თბილისის ქარვასლაში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენი აზრით, კარგი იქნება ცაგერში კვლავაც მოეწყოს ნუგზარ კოპალიანის პერსონალური გამოფენა, რაც უდაოდ საჭიროა, უდაოდ აუცილებელი.

ნიჭიერი კარიკატურისტიცაა... ზის თავის სამუშაო კაბინეტში, ხანაც სუფრასთან, ხანაც სტუმრად და ისეთ შარჟს „გამოაცხობს“ და გისახსოვრებს, გაოცებული ხარ ამ ახალგაზრდა კაცის უზადო ნიჭით.

გამორჩეული პიროვნებაცაა, არასოდეს ფიქრობს ხელოვნური აურა შეიქმნას საკუთარი თავის გარშემო, ვერ იტანს ქედმაღლობას, სიხარბეს, ღალატს... პიროვნების და სულიერი დაცემის მიზეზი რწმენის უქონლობააო, იტყვის ხოლმე ხშირად ღმერთი დავივიწყეთ, მინდა ყველას შევახსენო იოანე ნათლისმცემლის სიტყვები: „ღმერთმა მოგვცა ძალა სიყვარულისა, რომ სიძულვილმა არ შეგვმუსროსო“.

ჭეშმარიტად!

**შალვა ცხვარიანი**

---

## რა ხდება ჰესში?

*(დასასრული)*

ლიანებას სწორედ გადაუხდელობას აბრალებენ, თუმცა არა მგონია მათი უხელფასობა მხოლოდ ჩვენს რაიონზე იყოს დამოკიდებული. თავის მხრივ მათაც ხომ აქვთ რაიონის ბიუჯეტის ვალი—4 მილიონი ლარი. მაშასადამე ყველაფერი ერთმანეთშია გადაჯაჭვული, უბედურება ისაა, რომ გაჭირვებულ ხალხზე გადატყდება ხოლმე ჯოხი, იმ ხალხზე, რომლის მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ლენტეხის მოსახლეობას უკვე აევსო მოთმინების ფიალა და გამოსვლებს მასიური ფორმა მისცა, პასუხისათვის ლაჯანურჰესის დირექტორი მერაბ მუკვანი მიიწვიეს. მოთხოვნის ნიადაგზე ლენტეხმა მაშინ მიიღო კიდეც ელექტროენერგია.

ლეჩხუმელები ჯერ-ჯერობით ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებენ და მხოლოდ სიტყვიერ, მოკრძალებულ მოთხოვნებს აყენებენ, თუმცა არავინ იცის ასე როდემდე გასტანს. აღშფოთებულ ხალხს წესრიგს ვეღარ მოსთხოვ.

ლენტეხში ვიზიტის შემდეგ მერაბ მუკვანი 5 დეკემბერს ცაგერში გამგეობის სხდომაზე გამოცხადდა, თუმცა მიუხედავად გამგებლის და გამგეობის წევრების კატეგორიული მოთხოვნისა, სამედოს ვერაფერს დაგვპირდა.

6 დეკემბერს რაიონს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე დავით გურგენიძე ეწვია სამხარეო უშიშროების ხელმძღვანელ ანზორ მეტრეველთან და მერაბ მუკვანთან ერთად. დავით გურგენიძემ რაიონის მოსახლეობას აღუთქვა, რომ თხუთმეტი დეკემბრიდან ლაჯანურჰესის სადაო აგრეგატი ჩაირთვება და „ჩვენეულ“ დენს მივიღებთ, ხოლო მანამდე ხელს შეუწყობს გრაფიკით მოგვეწოდოს რესპუბლიკიდან ელექტროენერგია.

ნიკოლაი დობროლიუბოვს თავის დროზე უთქვამს და ყველა დროისათვის მოურგია შემდეგი ფრაზა „რაც უფრო სწრაფად და ცქაფად გამოთქვამ შთაბეჭდილებას, მით უფრო ზერელე და არაფრისმთქმელი იქნება შენი აზრი“, ასე რომ, ამჯერად მკაცრი კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ და უფრო ჰუმანურად და ოპტიმისტურად, თუმცა ზედმეტი აღფრთოვანების გარეშე, დავასრულებთ წერილს, დაველოდებით 15 დეკემბერს, რომელიც ჩვენს ფანჯრებში სინათლეს და სითბოს გვპირდება.

**თამარ დავითულიანი**

---

## ვარსკვლავისათვის

*პოეზია*
*ეს არ გახლავთ პროფესია!*
*ბედია და...*
*მშვიდობიან ბედს არ იცნობს პოეზია.*

⅄ ⅄ ⅄

თეთრ ზამბახების დგანან ფარდები,
გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს.
და ისე ერია თეთრი ვარდები
თითქო ათასი აქ გედი მოკლეს...
ალბათ ეოფილა წესვლა ამგვარი
მივცეთ პოეტებს სამშობლო მხარე
ულამაზესი ედემის დარი,
მხოლოდ ქალები გადავუშენოთ...
გაღებულია სამოთხის კარი
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ...

*ტიციან ტაბიძე*

⅄ ⅄ ⅄

ერთი მეორეს რომ მისდევენ დინჯი წუთები,
მშვენიერებას აყვავებენ გაშლილ ვარდებად,
მაგრამ მშვენება, დროის ხელით ნასათუთები,
დროის ხელითვე ილუპება და სამარდება.
უსასრულობის გზაზე მიჰქრის დრო უშფოთველი,
ზაფხულის დღეებს ზამთრისაკენ მიერეკება,
ყინვის საფარით იფარება მკვდარი ფოთლები.
ოდესღაც მწვანე ბუჩქნარები იქცნენ ჭკლებად.
მაგრამ ზამთარშიც არ მოკვდება ჭრელი ზაფხული.
და ყვავილებიც იცოცხლებენ გამხმარ კონებად,
თუ შუშის კედლებს სურნელი აქვს შემონახული,
როგორც ზაფხულის გახსენება და მოგონება.
ილუპებიან ზამთრის სუსხით ვარდის ფურცლები,
ვარდის სული კი რჩება მარად გარდაუცვლელი.

*უილიამ შექსპირი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა ვარიანში

საქართველოს სანახები დღესაც აოცებს არა მარტო მის მკვიდრთ, არამედ შორეული საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებსაც. ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, „დედა-ენის“ შემქმნელის, დიდი იაკობ გოგებაშვილის მშობლიური მხარის ვარიანის ნახვის შესაძლებლობა მას შემდეგ მოგვეცა, რაც ცაგერის საშუალო სკოლაში დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კვირეული ჩატარდა და როგორც გამარჯვებულნი, ექსკურსიით დაგვაჯილდოვეს, რომელშიდაც 50 მოსწავლე მონაწილეობდა (III-XI კლასების ჩათვლით) ექსკურსია ზაფხულში შედგა.

გორით დავიწყეთ... იოსებ სტალინს მუზეუმი დავათვალიერეთ. როგორი რუდუნებით უვლიან აქაურები მთავარსარდლის მოღვაწეობის ამსახველ თითოეულ მასალას, მის პირად ნივთებს. ბევრი რამ ახალიც შევიტყვეთ მისი პიროვნების ირგვლივ. შემდეგ გეზი ვარიანისაკენ ავიღეთ. იაკობ გოგებაშვილს, ჩვენი მოძღვართმოძღვრის, სახელოვანი მამულიშვილის სახლმუზეუმს ვესტუმრეთ. ერთი სტროფიც კი კარგად აფასებს მისი ცხოვრების განვლილ გზას: „...რომ ზღვას არა აქვს იმდენი წვეთი, იმდენ ვარსკვლავსაც ვერ დათვლი ცაში, რაც მან აღმართა იმედის სვეტი და ქართველობა აღავსო მადლით“...

ვარიანში ერთი საინტერესო მომენტიც „დავიჭირეთ“—ცნობილ მოკრივეს, გიორგი კანდელაკს შევხვდით. მან დაგვათვალიერებინა თავისივე აშენებული სპორტული დარბაზი, სადაც მოგვეცა საშუალება კრივში ძალები მოგვესინჯა.

ჩვენმა პედაგოგმა, ქალბატონმა ნინა ჩაკვეტაძემ გიორგი კანდელაკს სახელდახელო, რომ იტყვიან ბლიც-ინტერვიუც ჩამოართვა.

**—გიორგი! მაინცა და მაინც რატომ ირჩიეთ მოკრივე გამხდარიყავით?**

—მამამ გადამაწყვეტინა. მას ამის დიდი სურვილი ჰქონდა.

**—ვინ იყო თქვენი ძალის პირველი „მსხვერპლი“.**

—პირველად საჩხერეში ვიჩხუბე. მისი გვარი და სახელი აღარ მახსოვს.

**—სიყვარული კრივის მიმართ პირველად როდის იგრძენით?**

—პირველად 13 წლისამ ჩავატარე ბრძოლა. სამივე რაუნდი ტირილით გავიარე.

**—რატომ ტიროდით? მოწინააღმდეგე გებრალებოდით თუ...**

—როცა რინგზე ხარ მხოლოდ ის გახსოვს, რომ მოწინააღმდეგე ხარ. შებრალება შემდეგ მოდის.

**—სულ რამდენი შეხვედრა ჩაატარეთ და რამდენჯერ გაიმარჯვეთ?**

—21 შეხვედრა ჩავატარე და ყველა მოვიგე.

**—იქნებ რაიმე კურიოზიც გაიხსენოთ...**

—მსოფლიო ჩემპიონატზე ვიყავით კანადაში მე და ბატონი დავით კვაჭაძე. საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო. საქართველოს ნაკრების სახელით პირველად გავდიოდი. ფინალამდე რომ მივედით, გვითხრეს, თქვენი რესპუბლიკის დროშა და ჰიმნი წარმოადგინეთო. დროშა როგორც იყო დავხატეთ, მაგრამ ჰიმნი...ჩვენი გულშემატკიერებიდან ვილაცეებს აღმოაჩნდათ კასეტა, რომელზედაც „შალახო“ იყო ჩაწერილი. მეორე დღეს, როცა ბრძოლა მოვიგე და მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, დროშის აღმართვისას „შალახო“ გაუშვეს...

**—თქვენ ვარიანში დიდი საქმე გააკეთეთ—კრივის სკოლა გახსენით. რამდენი ბავშვია და რა პერსპექტივები გაქვთ?**

—500-მდე ბავშვია ყველა კუთხიდან ჩამოსული მათ კარგი მომავალი აქვთ.

**—ალბათ იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებამ, მისმა პატრიოტულმა მოტივმა თქვენზე გავლენა იქონია.**

—მინდა იაკობივით მიყვარდეს ჩემი საქართველო. მის ნახევარს მაინც რომ შევძლებდე, ბედნიერი ვიქნები.

**—რას პირდებით ლეჩხუმელ თაყვანისმცემლებს?**

—მსოფლიო ჩემპიონი გავხდები...

გიორგი კანდელაკი ლეჩხუმში სტუმრობას დაგვპირდა, სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ. პატარა თარაში კანდელაკს და მამას, დიდ გიორგი კანდელაკს ნინა მასწავლებლის ლექსით დავემშვიდობეთ, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ:

„გვიხარია, ველოდებით, რა იქნება დღეს
და ხვალე,
ვიცით, ვიცით, გაგვახარებს,
კანდელაკი მალე-მალე.
ლეჩხუმი შენს გამჩენს ლოცავს,
გმირი გვყევხარ სულით, ხორცით,
შენს სიმტკიცეს, შემართებას,
ვითარც დედა გკოცნით! გკოცნით:

*ექსკურსიის მონაწილეები.*

## ჭადრაკის დედოფლის გვირგვინის მაძიებელი



თეონა ღურჭუმალიძე საქართველოში გოგონათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული, პერსპექტიული მოჭადრაკეა, თბილისის ჭადრაკის სკოლის აღზრდილის ბოლო ორი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები ნათლად მეტყველებს ნიჭიერი გოგონას პოტენციაზე სპორტის ამ პოპულარულ სახეობაში.

2001 წლის დეკემბერში თეონამ თავისი ასაკის გოგონათა შორის თბილისის პირველობა მოიგო და დედაქალაქის ჩემპიონი გახდა.

მიმდინარე წლის მარტში ჩატარებული საქართველოს პირველობაში I-II ადგილი დაიკავა და მოიპოვა უფლება მსოფლიო პირველობაზე თავის ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად.

ივნისში ორ ვაჟ მოჭადრაკესთან ერთად მონაწილეობდა ჯგუფურ შეჯიბრებაში, დაიკავა პირველი ადგილი და დაეუფლა საქართველოს თასს.

ივლისში ჩატარებული შავი ზღვის აუზის ქვეყნების მოჭადრაკეთა ტურნირში თავის ასაკში დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი, დაჯილდოვდა ოქროს მედლით და ფულად პრიზით.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ თეონა ლეჩხუმელია, მისი მშობლები რამაზ კონსტას ძე ღურჭუმალიძე და მარინე კუკურის ასული ჩარკვიანი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ქ. თბილისში.

თეონა ღურჭუმალიძე უკვე ასპარეზობს გოგონათა შორის მსოფლიო პირველობისათვის საბერძნეთში.

ვუსურვებთ მას წარმატებას და გვჯერა მომავალში მისი სახით საქართველოს ჭადრაკის დედოფლის გვირგვინის მფლობელის ღირსეული კანდიდატი ეყოლება.

გიორგი კვირიკაშვილი
ცაგერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

## სპორტი

### გვასახელეს მოჭიდავეებმა

10 ოქტომბერს ონში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი 1988-1990 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის თავისუფალი ჭიდაობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის ნაკრები, რომელიც ორბელიისა და ლაჯანის სკოლების მოსწავლე ახალგაზრდა სპორტსმენებით გახლდათ დაკომპლექტებული (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ალუდა სილაგაძე).

ჩვენმა მოჭიდავეებმა წარმატებას მიაღწიეს და ესოდენ პრესტიჟულ შეჯიბრებაში პირველი, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

ჩემპიონი გახდა ლაჯანელი მალხაზ მახარობლიძე, მეორე—მესამე ადგილები შესაბამისად წილად ხვდა ორბელელ ძმებს თორნიკე და ზვიად ბურჯალიანებს. სასიხარულოა, რომ თავისუფალი ჭიდაობა რაიონში აქტიურად მკვიდრდება. ჩვენი ნორჩი მოჭიდავეების დიდი შესაძლებლობები და ნიჭიერი, მაღალპროფესიონალი მწვრთნელის ალუდა სილაგაძის ნაღვაწი სახეზეა.

### საქართველოს ფალავნობისთვის

23-24 ოქტომბერს თბილისში ცირკის შენობაში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი და ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში. გრანდიოზულ სპორტულ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და ლეჩხუმელი გულშემატკივარი კარგი ჭიდაობით გაახარა სპორტის ოსტატმა ქართულ ჭიდაობაში, რაიონში ახალბედა მოჭიდავეების ენერგიულმა დამრიგებელმა კობა ქომეთიანმა, რომელმაც მესამე წრეში, მართალია, სახელგანთქმულ და გამოცდილ ფალავანთან შერკინებით ვერ გაიმარჯვა, მაგრამ თავისი ოსტატობით და გაბედაობით ლეჩხუმს სახელი შემატა.



ზიორზი კვირიკაშვილი,
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

## ვილოცავთ

ანა გოგოხიძეს
გოჩა ჯიბძეს

გილოცავთ ქორწინებას. შეგექმნათ ფუძემძლიერი ოჯახი. გფარავდეთ ღმერთი.

როსტომ ზურაბიანი ოჯახით.

◆

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის განკარგულებით საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისა და პერსპექტიული სპორტსმენების წარმოჩენისა და აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებისათვის სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა.

რაიონის სპორტული სკოლის ფრენბურთის მწვრთნელის თენგიზ ოთარის ძე სალონაძეს.

◆

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ცაგერის საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგი

ნური ნოდარის ძე ხეცურიანი.

## ქოზია კოპალიანის ხსოვნას



რაიონს გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული ქალი—ქოზია ყურაშვილი—კოპალიანი. შესანიშნავი დედა, მანილოსანი, მეუღლე, ბებია და მეგობარი.

იგი სოფელ ნაკურალეშში დაიბადა და გაიზარდა. სოფლის ახალგაზრდობის სკოლა დაამთავრა და ქუთაისის სასოფლო—სამეურნეო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა.

1936 წელს ქალბატონმა ქოზიამ ოჯახი შექმნა ჭალისთაველ იონა კოპალიანთან და ქალაქიდან სოფლად გადმოვიდა. 1941 წლის აგვისტოდან, მაშინ როცა სამამულო ომმა თავისი ხელი ლეჩხუმსაც დაატყო, ენდნენ რა ქოზია კოპალიანის კაიქალობას, ჭალისთავის „7 ნოემბრის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი ენერგიულად და უშიშრად იდგა ყველა რთული პრობლემის წინაშე.

ომის დამთავრების შემდეგ, 1950 წელს, ჭალისთავის, ქვემო ცაგერისა და გვესოს კოლმეურნეობები ერთ მსხვილ კოლმეურნეობად გაერთიანდნენ. მას შემდეგ ქოზია ფიზიკურად მუშაობდა და ამასთან, კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი იყო. რამდენჯერმე იყო არჩეული რაიონული და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად.

მეუღლის გარდაცვალებამ ოდნავადაც ვერ გატეხა მისი მტკიცე ხასიათი. თავგამოდებით ებრძოდა ცხოვრებას—„ობლობა არ იგრძნონ შვილებმა“...

ქალბატონი ქოზია დაჯილდოებული იყო მედლებით—„კავკასიის დაცვისათვის“.

ზურგში კარგი მუშაობისათვის „დიადი გამარჯვების 30—ე წლისთავის“. 1961 წლიდან წლების მანილზე ქუთაისის რძის კომბინატის ცაგერის დამზადების პუნქტში მუშაობდა ანალიზატორად, წლების მანძილზე კი დირექტორად. შემდეგ– წლებმა თავისი გაიტანეს და ამ ბოლო დროს ბევრსაც ავადმყოფობდა, საყვარელი შვილის, ბახვა კოპალიანის გარდაცვალებამ ალბათ საბოლოოდ გატეხა მისი მხნე სული და სხეული.

ნათელი გქონოდეთ ქალბატონო ქოზია! ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ მაღალმა ღმერთმა.

**ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.**

## შენი მონატრებისა, შვილო!
## (ბექა ახვლედიანი)



უსასრულოდ სევდიანია ყოველი დღე უშენოდ, შვილო! ვინ მოარჩენს ჩვენი სულის ჭრილობას, ვინ გვანუგეშებს და გვეტყვის, რომ ადამიანი ყველაფერს უძლებს. უშენოდ სიცოცხლეს გაძლება არ ჰქვია, ჩვენო პატარა ანგელოზო. პირველად შევხვდით შენ დაბადების დღეს უშენოდ. შენი ლამაზი სამუდამო სავანე იყო გაუბედურებული და მწუხარე მშობლების მასპინძელი. ამ დღეს შენც ალბათ, შენეული ჭკვიანი და ანცი ღიმილით გადმოგვხედე ზეციური საუფლოდან.

ოცნებით შენთან ვართ, სიზმარშიც გხედავთ, მაგრამ ცხადში... ერთადერთი ღვთის იმედი შეგვრჩენია, რომ მოგანიჭოს ზეციური სასუფეველი და მუდამ ნათელი ფარავდეს შენს ლამაზ, უმწიკვლო სულს, შვილო!

**დედ—მამა ნანა და როინ ახვლედიანები**

ცაგერის რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ნინო კოპალიანს ბებიის

ქოზია ყურაშვილი-კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

---

დავით დავითულიანი, ჯუმბერ ცვარიანი ოჯახებით იუწყებიან

ჭიჭიკო დავითულიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს.

---

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ნუგზარ ტვილდიანს მამის

ჭიჭიკო ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ნინო კოპალიანს ბებიის

ქოზია ყურაშვილი-კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ნუგზარ, იზო ტვილდიანებს მამის

ჭიჭიკო ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
თამარ
დავითულიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზევინარ
ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-80, 7-34-99